საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 6745/01
30/06/2021

6745-01-2-202106301808

შპს „ეკოპეტროლს“
მის: ქ. თბილისი, ი. სარიშვილის ქ. N31
ელ. ფოსტა: ekopetrol@yahoo.com;
makicha62@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 ივნისის N10851 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, ავტოგასამართ სადგურზე არსებული 23000 ლიტრი საერთო ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მიმდებარედ, დამატებით 22000 ლიტრი ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- ნავთობპროდუქტების მიღების და ავზებში ჩატვირთვის შესახებ (ტრანსპორტირების ტიპის და პერიოდულობის მითითებით);
- წყლის მოხმარებისა და წყალმომარაგების შესახებ, კერძოდ სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მათ შორის სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ;
- ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არსებულ ანალოგიური ტიპის ობიექტებთან გარემოზე შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლე (ს/კ 32.10.34.713) დაშორებულია 500 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 215 მეტრში, შპს საფეხბურთო კლუბი ,,ზესტაფონი“ სტადიონის მიმდებარედ ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები. დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული უნდა იყოს ჩამდინარე წყლების (საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე), მათ შორის საწვავის ავარიული დაღვრისა და ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული (ზედაპირის მორეცხვის შედეგად

წარმოქმნილი) წყლის მართვის (მათ შორის გაწმენდა/ნავთობდამჭერის ან სხვა მოწყობა) საკითხები.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე